# კროს ფანტაზია

№ 13(21)

ფასი 40 თეთრი

1 ოქტომბერი, 1996 წ.


## ზამთრისათვის მზადების ღონისძიებები

— მოიმარაგეთ ნავთი?
— გაწმინდეთ ლამფის შუშები?
— გადააკერეთ ფითილები?
— შეიძინეთ ასანთი?

მაშ, იმედიანად განეწყვეთ მორიგი საკროსვორდო ზამთრისათვის!

## ოფიციალური ქრონიკა

გასულ ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქართულ პრესაში 200 კროსვორდი გვაქვს გამოქვეყნებული, რამაც გარკვეული დაინტერესება გამოიწვია რეკორდებისა და მისთანა სასწაულების მოყვარულთა შორის. მათ გვირჩიეს, რომ თავად "კროს-ფანტაზიაში" დაბეჭდილი კროსვორდებიც აღგვენუსხა და პრეტენზია განგვეცხადებინა "გინესების წიგნში" მოხვედრაზე (?!) ჩვენ ამგვარი განზრახვა არ გაგვაჩნია (ამჟამად მაინც) და უბრალოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი გაზეთის ყველა ნომერში 250 დიდი თუ პატარა "სასწაული" გვაქვს გამოქვეყნებული. ასე რომ, ჯამმა 450 შეადგინა (2 წელიწადში). მუშაობა გრძელდება!

*ამ მარცხნივ "გადაქანებული" კროსვორდის ნახაზში ერთი შეცდომაა, თუმცა ეს არ არის მთავარი... (არა, მაინც უნდა ითქვას, რომ ზოგნი "სულის სიამეს" სწორედ რომ მავანთა შეცდომების ძიება-მოძიებაში ნახულობენ); მთავარი ისაა, რომ ზოგიერთი სიტყვის განმარტებაში შეგნებული ლაფსუსები დავუშვათ, რაც, (მხოლოდ) ჩვენი აზრით, მკითხველის გონებას წამიერად გადააქანებს და (გონების) კვლავაც მისეულ ადგილზე დაბრუნებით საკუთარ გონიერებაში დაარწმუნებს... ვნახოთ, ვნახოთ!*

**თარაზულად:** 7. რუსეთის "პირველი ჯარისკაცი" როდიონოვამდე; 8. სასტვენიანი მოსამართლე; 9. ძველბერძნული მითოლოგიის "ცარიელი თავი", რამაც, შესაძლოა, შთააგონა ჟიულ ვერნი "პროფესორ დოუელის თავის" წერისას; 11. ბევრი იფანი; 12. ეგვიპტის ერთ-ერთი პირამიდის "პატრონი"; 13. ამერიკელი ფანტასტი, წარმოშობით აზერბაიჯანელი; 16. პატიმარისაგან მოსული "ინფორმაცია"; 18. მართლმადიდებელი "პადრე"; 20. საქართველოს ისტორიული ძეგლი; 21. ჰომეროსის პოემა; 22. მეკობრეობის თანამედროვე სახესხვაობა; 26. ერთ-ერთი თბილისური სასწრაფო დახმარება (რეკლამა იხილეთ მეტროში); 27. აღმ. საქართველოს მხარე, რომელმაც მოგვცა პრეზიდენტი; 28. "ფოთოლა" კომპოზიტორი უნგრეთიდან; 24. თურქეთ-სირიის ისტორიული ოლქი; 31. დიდი სამხრეთამერიკული ფრინველი; 33. ქალაქი სამხ. საქართველოში; 35. ფრანგი კარდინალი, ჰაინრიჰ ჰაინეს ავანტიურისტული რომანების პერსონაჟი; 36. შოლოხოვის რომანის, "წყნარი დნეპრის" პერსონაჟი ქალი; 37. რა არის ის, რაც შეცდომითაა დასახელებული N36 კითხვაში?

**შვეულად:** 1. ხელობა; 2. აფხაზური ხაჭაპური; 3. მითოლოგიური თავლის პატრონი; 4. მარცხი; 5. (ბატონი) დოლიძე, კინორეჟისორი (გადაიღო "არსენა"); 6. იზოლდას "ხუანი"; 10. იგივეა, რაც წინათგრძნობა; 14. სომხეთის ქედი; 15. თბილისის გარეუბანი, რომელიც საკუთარ თავს ახასიათებს; 17. "უდიპლომო სასიძოს" სასიმამრო, ჟორჟოლიანის შესრულებით; 19. თარგმნეთ რუსულად "შენ მე მგავხარ, მე შენ გგავარ" ახლა წაიღიღინეთ, ოღონდ არ თქვაო ამას კირკოროვი მღერისო... მაშ, ვინ მღერის? 23. ძველბერძნული ისტორიოგრაფი, "სიმეტრიული ბიოგრაფიების" ავტორი; 24. მექსიკელი კახიგას ქართველი "ნათესავი" ოპერის ხელმძღვანელობის დარგში. 25. "აბა", ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო?! გალიაში ბულბულები ზიან!" ვინ არის სინამდვილეში თითოეული "ბულბული"? 29. ცნობილი ჩოგბურთელი, სახელად ჯიმი... 30. კვესის "პარტნიორი"; 32. ქართული პრესის "რეპატრიანტი" (მეტაფორული გაგებით); 34. პურის საცხობი ნაგებობა.

*აქ, (მხოლოდ) ჩვენის აზრით, რვა უხეში შეცდომაა რეგისტრირებული... (საკროსვორდო სასამართლოს მიერ N13/21-1996).*




## ლოგიკური თამაში "21"

მიჰყევით ისრებს, საერთო ლოგიკური პასუხი მოუძებნეთ ყოველ ოთხ სიტყვას და ფინალში შეხვდით "მას"!

ნიმუში: ლვოვი — ტოლსტოი — აფრიკა — მეფე (ლომი)

**გასული ნომრის პასუხები**

(ლოგიკური თამაში "21"). ბაირონი — შოშიტაიშვილი — პოპინსი — ჯვარი (მიიღება მერი), მიხაკი — 1973 წ. — ყანწი — რიონი ("ტიციან ტაბიძე"), ყარაბას-ბარაბასი — დალაქი — მღვდელი — სულხან-საბა (მიიღება "წვერი"), მიწისძვრა — XII საუკუნე — რაჭა — ტაძარი (მიიღებს "ნიკორწმინდა"), მერი — ტიციანი — წვერი — ნიკორწმინდა ერთიანდება პიროვნებაში, რომელსაც ჰქვია გალაკტიონი.

## ...რთველი დაიწყო!

***აბა, როგორ შეიძლება, ასეთ მოვლენას სპეციალური კროსვორდი არ მიეძღვნას ისეთ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ღვინო და კროსვორდიღაა ადგილობრივი წარმოების...***

1. ქართული სუფრის თანამდებობა "შევსების" დარგში; 2. ქართველი მხატვრის სახელი, რომელიც ფიროსმანის ტრადიციებს აგრძელებდა "ქეიფის ასახვის" დარგში; 3. თავგადამეტებული ღრეობა (უცხო სიტყვათა ინვესტირების დარგში); 4. ამ მარჯვნივ "გადაქანებული" კროსვორდის მთავარი პერსონაჟი! 5. სხვა სახელი ებრაელისა (ისინი მშვენიერ "ქაშარას" აყენებენ); 6. ღვინოზე ჯერ ხიდი არსად გადებულა, საწყალოსნო ხიდს კი "ეს" სახელი ჰქვია; 7. დღევანდელი თამადების ხილვა-სმენისას კაცს ის ანდაზა გაახსენდება, სადაც ვირებს დარჩათ ქვეყანა იმ დახოცილი "არსებების" ნაცვლად (მხ.რ); 8. მსხვერპლი (არაალკოჰოლისა); 9. "მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა, თენდება თუ ღამდება"... ანუ კარგი პურმარილის ღირსეული დამფასებელი; 10. ქართველთა სახლ-კარის მთავარი "სათავსო" (ტრადიციულ-იდეალურ დარგში); 11. რელიგიური სითხე, რასაც ხშირად ადარებენ ჩვენი კროსვორდის მთ.პერსონაჟს; 12. ნიგერის დედაქალაქი (ნიგერია არ გეგონოთ... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს!) 13. იტალიური ლიქიორი; 14. ტვინის დაავადება, რომელიც გადამთვრალსა და ქვაზეთავმიხეთქებულს შეიძლება დაემართოს; 15. რაციო-ემოციურობის წერითი შემოწმება; 16. ვაშლის ღვინო; 17. განახლება-შეკეთება; 18. ჩვენი კროსვორდის მთ.პერსონაჟის მოფერებითი სახელი; 19. ლათ. ამერიკის ქვეყანა; 20. აფრიკული ხილი; 21. ცეცხლის სახესხვაობა; 22. (ბატონი) შავგულიძე, გადმოცემის თანახმად, დიდებული მოქეიფე! 23. სპორტული ასპარეზი, სადაც ჩვენ, რუსებისაგან განსხვავებით, ფხიზლები დავდივართ; 24. ქორწილის "მუსიკოსი"; 25. "ატრაქციონის" სახესხვაობა, რასაც მთვრალი კაცი ემგვანება სიარულში; 26. დას.ევროპის მეღვინეობით ცნობილი ნახევარკუნძული; 27. მთიელთა (საპურმარილო) ლექსი; 28. ქართული ღვინო; 29. (თარაზულად) ვინ თქვა საკანში: "ტანო ტატანო" (მოთხ.ბრ); (შვეულად) ვინ მღერის ფილმში: "ტაია-ტაია, ვოტატაია...და!"; 30. გერმანიის მდინარე; 31. დავით დროიძის ("სიმონა") ლოთბაზარა ვაჟი; 32. (ბატონი) კალმანი, კომპოზიტორი; 33. ბულგარული შამპანიური; 34. თერძი... ქართული მულტფილმიდან; 35. მხატვარი, რომლის ცოლადაც მიიჩნია უსტაბაშმა ვართუშა; 36. საპურმარილო გნიასი ცუდი თამადის ხელში; 37. ქართული კონიაკი.




"PETITE"

გთავაზობთ:
კომპიუტერებს,
მაკომპლექტებლებს, ძველი
კომპიუტერების შეკეთება-
განახლებას, პროგრამულ
უზრუნველყოფას.
ვაჟა-ფშაველას 29ა
ტელ:
დღისით 39-73-25
საღამოს
39-60-74
34-82-22




# თბილისელი "ფანტაზიორები"

## (წერილი მეორე)

### "ჭრელო პეპელა"

პარიზში არ ვყოფილვარ. ლონდონსა და რომსაც მხოლოდ კროსვორდთან დაკავშირებული თემატიკით ვიცნობ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ თბილისი ამ სამივე მუსიკალურ "მექას" სწორედ რომ მუსიკაში სჯობს... თავისი ქუჩის მუსიკოსებით!

როგორ და რატომ?!

აბა, სხვაგან სად იხილავთ ინსტრუმენტების ისეთ მაშრიყ-მაღრიბულ და მელოდიების ისეთ ისტ-ვესტურ მრავალფეროვნებას, რაც ჩვენი ქალაქის "ღია (მინისქვეშა) ესტრადებზე" გვხვდება?! აი, მაგალითად: გიტარა, აკორდეონი, ზურნა, ფლეიტა, ბანჯო, საქსოფონი, ჩონგური, სალამური და... (აკრძალული) დოლი! (გაიხსენეთ სპექტაკლი "იეთიმ გურჯი"). სულ ახლახანს ერთ "ადამიან-ორკესტრსაც" წავაწყდი, რომელიც ერთდროულად სამ ინსტრუმენტზე უკრავს!

დიდება მათს ნიჭსა და ხელოვნებას!

...იმის თქმაც მინდა, რომ თბილისელ მუსიკოსთა შორის მრავალი ნაცნობი მყავს, რადგან მათი ძველი (ჯერ კიდევ კომუნისტურ-არალეგალურობის დროინდელი) თაყვანისმცემელი ვარ და ისე არ ჩავუვლი გვერდით, რომ სადღაც ჯიბის კუთხეში მიგდებული ფული (მანეთი-კუპონი-ლარი) არ მოვიძიო და ძირს დაგდებულ ქუდში ან "სნიკერსის" კოლოფში არ ჩავუდო; სხვათა შორის, მათ რიგებშიც დიდი სოციალური სიჭრელეა: ზოგი ყოფილი ინტელიგენტია, ზოგი (ყოფილი) მექორწილე, ზოგი — ბოჰემის ნარჩენი და ზოგიც ძალად მუსიკოსი... ისეთი კაციც ვიცი, თავის ახალ სიმღერებს ქუჩაში რომ უკეთებს "აპრობაციას" და ე.წ. პროფესიონალურ სტატუსს მერე ანიჭებს?!

რა ვქნა, მიყვარს ეს პატიოსანი ხალხი!

ალალი გარჯით შოულობენ თეთრებს და ალალადვე ხარჯავენ!

ან განა რა დიდი სხვაობაა მათსა და "ბობოლა" მუსიკოსებს შორის?! პრინციპი ხომ ერთია: ერთი მღერის, სხვები კი უსმენენ და ფულს იხდიან; ვითომ აუცილებელია სცენა, რამპა, მოჩვენებითი შთაგონება, მატრაბაზი პუბლიკის ოვაცია და ფულის გადახდა მოლარე-ადმინისტრატორის მეშვეობით?

მათს შემოსავალს თუ იკითხავთ, გეტყვით, რომ ხან როგორ, ხან როგორ და დღეში 3-4 ლარს მაინც აგროვებენ... ნამდვილად არ მინდა მაბეზღარის როლში გამოვიდე და მათი "ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით" მავანი საგადასახადო ინსტანციები დავაინტერესო, ის კი ნამდვილად მსურს, რომ მათს შრომას შესაბამისი დაფასება ჰქონდეთ, რადგან ისინი "ნამდვილი მუსიკოსები" არიან! აი, მაგალითი: ერთი ასეთი მუსიკოსთაგანი, რომელსაც "ზემელზე" აქვს თავისი "რამპა-ბუდუარები", თავისუფლების მოედანზე ჩასულიყო და თავის იქაურ კოლეგასთან სარეპერტუარო გაცვლა-გამოცვლით იყო დაკავებული... პროფესიონალებად წოდებულმა "პეპლებმა" და "ფუფალებმა" კი, ლამის არის, საერთაშორისო არბიტრაჟში უჩივლონ ერთმანეთს, თუ ერთიმეორის მიმოხვრაში რაიმე, მხოლოდ თავისი, ყელმოღერება ან გრიმასა შენიშნეს...

ეჰ, ერთი სიტყვით: "ჭრელო პეპელა, ნურც მოფრინდები (და ასე ვთქვათ), ნურც გაფრინდები!"

### "შეგირცხვეს აზარტი!"

("პოლე ჩუდეს" — თბილისურად)

ბაზრობაზე დავხეტიალობდი "სუპერდახლების" დოვლათის ტკბობით.

"— მეგობარო, ერთი წუთით მობრძანდით, რა!"

მოვიხედე და ყომარბაზების კრუპიე სწორედ მე მიხმობდა.

"— რაშია-მეთქი საქმე?"

"— თქვენ, როგორც უცხო კაცმა, მოდით რა, ეს ჭიქა შეაჭანჭყარეთ და კამათლები გადმოყარეთო"

მე ვაჭანჭყარე და გადმოვყარე...

კრუპიემ დათვალა და — "ოცდაერთი" — დაიძახა.

"ვაჰ, ძმაო შენ გენაცვალეო, რაღა" — მითხრა ვიღაც იღბლიანმა, ფულს ხელი დასტაცა და, რომ მეგონა — წილს მაძლევს-მეთქი, ხელში ორი ბარათი მომაჩეჩა, მითხრა — "შენი ფული გადახდილიაო" — და, ასე ვთქვათ, თვითონ "მოტყდა". ამდენი წელიწადი განა თეატრი იმიტომ მიყვარდა, რომ ასეთი "სპექტაკლის" ჯამჭოლ იდეას ვერ ჩავწვდებოდი?! მათ ხომ უბრალო "ფოკუსი" გააკეთეს — მე თამაშში ჩამითრიეს.

... ამიტომაც დავყარე ის ბარათები და გამოვბრუნდი.

"მოიცათ, მეგობარო, თქვენ თამაშობთო!" — მიბრძანა კრუპიემ და მიზანსცენის გასამარტივებლად ახალ "მეგობარს" უხმო შემჭანჭყარებლად.

როგორ გგონიათ, მორიგი წაჭანჭყარების შემდეგ ვინ მოიგო?!

...დიახ, დიახ — მე და იმ ახალ "მეგობარს" თანაბარი ქულები აღმოგვაჩნდა და კრუპიემ ბრძანა: "თამაშობს ეს ორი მეგობარი და მათ შორის გათამაშდება 50 ლარი! (ბიჭოს!) — და იქვე იაკუბოვიჩის გულუხვობით პირველი მოწყალება გაილო — პირველი მეგობარი (მე!), შედეგის მიუხედავად, დამატებით მიიღებს ერთ ბლოკ "ელემსო" — და იმავე წუთს მესამე შემჭანჭყარებელი მეგობარი მოძებნა, რადგან ჩვენ, ორი "ძველი" მეგობარი, უკვე ჩათრეულები ვიყავით; აი, აქ კი მოხდა გაუგონარი რამ:

"მე არ ვთამაშობ" — განვაცხადე, ბარათები, თავისი "ელემით", კრუპიეს ბარაბანზე დავყარე და წამოვედი, რადგან ვიცოდი, რომ ჭანჭყარ-ჭანჭყარში ისე გამაბაიბურებდნენ, რომ სახლის გაყიდვა თუ არა, იმ "მესამე (პროფესიონალი) მეგობრის" შავი სამუშაოს შესრულება მაინც მომიხდებოდა... გაურკვეველი ვადით... გასამრჯელოს გარეშე.

ვიღაცამ მომაძახა — "შეგირცხვეს აზარტიო", მე კი იქვე მდგომ პოლიციელს ერთი ღერი "ელემი" ვთხოვე და ბლოკნოტში ჩავიწერე — "კრუპიე" კარგი საკროსვორდო სიტყვაა!

**ალექსანდრე ელერდაშვილი**



*"კროს-ფანტაზიის" ძველ მკითხველებს (უფრო სწორად შემვსებლებს) ახსოვთ, რომ ჩვენს "გაზეთს" საკუთარი (კროს) პარლამენტი გააჩნდა და ერთხანს წარმატებითაც მუშაობდა, მაგრამ შემდეგ საზაფხულო არდადეგები გამოცხადდა, ხალხი ანტალია-მანტალიებში გაიფანტა და... ფაფუ!!! ახლა კი კვლავ გვთხოვეს ახალი (კროს) პარლამენტის შეკრება; კაცმა რომ თქვას, რაღა დროს პოლიტიკაა (რაც მოდიდან გადავარდა), მაგრამ ჩვენ "არ ვსდევთ ჟამთაცვლას" და (უხალისოდ) ვასრულებთ შეკვეთას, რადგან მკითხველის ნება-სურვილი ჩვენთვის არის — "სვიატაია სვიატიხ"!*

*ჩვენი დღევანდელი (კროს) პარლამენტის სამ ბლოკში 48 აგურია ჩადებული, რომელთა დაყოფა (და გაერთიანებაც!) ერთობ პირობითია, რადგან ეს "აგურები" ბლოკიდან-ბლოკში ისე გადადიან, როგორც დიდოელი "ლეკი ნაბადზე", თუმცა ეს ჩვენი საქმე არ არის... იარონ, იარონ, იარონ, ამინ! (ჩართეთ მიკროფონი).*

### ა) ბლოკი "1989-94 წწ" — 22 წევრი

2. ეპითეტი, რომელიც შეიძლება მომავალმა ისტორიკოსმა წინ დაუსვას ცნებას "1989-94 წწ საქართველო".
3. "დაპყრობის" სინონიმი, რომელიც ზემოაღნიშნული წლების მიტინგებზე ხშირად ისმოდა.*
4. "რის" ინსპექტორები გაიტანჯნენ ყველაზე მეტად აღნიშნულ წლებში ხალხის მიგრაცია-მიგრაციის გამო? (მიც.ბრ).
5. თეატრალური ცნება, რაც ასევე შეიძლება ეწოდოს აღნიშნულ წლებს.
6. მორალური კატეგორია, რის არქონასაც საერთოდ არ განიცდიდა აღნიშნული წლების ბევრი ძალად პოლიტიკოსი.
7. (მიუხედავად დაკვეთისა, ჩვენ მაინც ვაღიარებთ, რომ) აღნიშნულ წლებში მრავლად იყო ჩვენში სიტყვა "მამულიშვილის" სინონიმით გამოხატული ტიპი ადამიანისა.
9. სპორტული ასპარეზის ატრიბუტი, რაც ზოგჯერ პოლიტიკური მიტინგის აუდიტორიის საჯდომად იქცევა ხოლმე (მრ.რ).
10. გერმანელი "ქალბატონი" ზოგადად (რა უნდა პოლიტიკაში?!).
11. ძველბერძენი ქალთევზა (სხვათა შორის, აღნიშნული წლების მომავლის მეისტორიენი ცალკე გამოყოფენ თემას "ქალი პოლიტიკაში" ან "პოლიტიკა ქალში").
13. სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ.
15. ქართველი მეცნიერი, (პოლიტ) ემიგრანტი, ბატონი კალისტრატე...
18. (თარ) "ამალის" პოლიტიკური სინონიმი.
23. (თარ) აღნიშნული წლების პირველ უმთავრეს ტრაგედიაში ჩვენი დამპყრობების (და დამხოცველების) იარაღს "ასეთი" ზოგადსიმბოლური სახელი ეწოდება (მხ.რ).
23. (შვ). არანაკლები "ზვარაკი" იყო უგნური პოლიტიკისა უიარაღოს (შეადარე წინა კითხვას!) მოთხრობის ეს პერსონაჟი ბიჭიც (ფეოდალურ საქართველოში).
24. ზღვაოსნური "სიმშვიდის" სინონიმი, როგორი "სიმშვიდეც" 9 აპრილს, დილის 6 საათზე სუფევდა რუსთაველის პროსპექტზე.
25 და 33. აშშ-ს ძველი და ახალი პრეზიდენტი (კროსვორდმა მოითხოვა!)
26. ცოტა წავიანგლოთ და ვიკითხოთ: ნეტავი რა დღეშია ამ წუთას რუსეთის თავდაცვის მინისტრი? (იმდენჯერ ვახსენეთ 9 აპრილი, რომ არ შეიძლება ახლა მას "Икота" არ აწუხებდეს!)
29. "კვალისდამტოვებელი" ტყვიის თვისება (წლებს აღარ ვახსენებთ).
34. (შვ) ფილოსოფოსი, რომლის პოლიტიკა კასრიდან წარიმართებოდა.
35. ხარკის აკრეფის 15-წლიანი მონაკვეთი ძვ.რომში.
36. სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა.

### ბ) ბლოკი "მეცნიერება" — 15 წევრი

1. სიძველეთა მკვლევარი.
8. სასწავლო-კვლევითი დაწესებულება.
12. დაავადება, რომელსაც (სრულიად უანგაროდ) ავრცელებს კოღო ანოფელისი.
17. (შვ.) გეომეტრიული ცნება, რასაც მოკლებულია ჩვენი ოთხმხრივ სიმეტრიული (კროს) პარლამენტის ჩარჩო.
18. (შვ) სიტყვების წარმომავლობის შემსწავლელი.
19. მეცნიერობისათვის "განწირული" ნასტუდენტარი.
21. "აზოტმჟავა მარილის" ბერძნული სინონიმი-წინსართი.
27. ასტროლოგიური ცნების (ზოდიაქოს) აღმნიშვნელი (არამეცნიერული) არსება.
34. (თარ) ზომიერ-მოზომილი კვების შემსწავლელი (მეცნიერი).
37. შიგსართი ენათმეცნიერულად.
38. (შვ) რა იყო ადამი (ბიომეცნიერულად)?
40. ბუნების დაცვის მეცნიერება.
41. კომპიუტერული მეცნიერების (შედეგების) საბეჭდი აპარატი.
43. სასიყვარულო (მეცნიერების) სახესხვაობა.
44. ატომგულის ნაწილები, ელექტრონების "კოლეგები" (მრ.რ)

### გ) ბლოკი "ლიტერატურა და ხელოვნება" — 10 წევრი

(მოგეხსენებათ, ამ სფეროს წარმომადგენლები მეტად "კაპრიზულები" არიან, მათ, პოლიტიკოსთაგან განსხვავებით, ბლოკ-ბლოკ ხეტიალი არ ახასიათებთ და ამიტომაც თავიდანვე დაიყვნენ ფრაქციებად).

"ლიტერატურა": 20. (ქალბატონი) ბარტო, საბავშვო მწერალი.
22. საიათნოვას და იეთიმ გურჯის ლიტერატურული "ამპლუა".
31. რომან "ქარწაღებულნის" მთ.პერსონაჟის სახელი.
38. (თარ) (ქალბატონი) ორბელიანი, ქართული სალონურ-პოეტურობის სიმბოლო.
"მუსიკა": 14. ზომიერი ტემპი მუსიკაში.
28. ოცდაათიანი წწ. პოპულარული მელოდია.
39. მუსიკალური სპექტაკლი.
"კინო": 16. განუმეორებელი (ქალბატონი) კარდინალე.
32. რა ერქვა იაპონელ კინორეჟისორს, კუროსავას?
"თეატრი": 30. განუმეორებელი (ბატონი) მანჯგალაძე!

### დ) ბლოკი — "კროსვორდიზმი"

(არასაპარლამენტო პარტია)

42. როგორია "გემოსია" ეს კროსვორდი? (გთხოვთ ზედმეტ თავმდაბლობაში ჩაგვითვალოთ და ბარემ მიკროფონიც გამორთოთ!).

# "ფანტაზია" მასპინძლობს... ანუ "ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს!"




***...დიდი ვერაფერი მასპინძლობა გამოგვივიდა, მხოლოდ ერთი კროსვორდის დაბეჭდვა შევძელით, მაგრამ მთავარი მაინც ყურადღებაა, რასაც უდავოდ იმსახურებს წარმოდგენილი ნიმუშის შემდგენელი, ია სირაძე!***

***...ძველებს ახსოვთ, რომ იყო ასეთი კონკურსი — "ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს", ჰოდა, ერთი მათგანი ჩვენც მოვძებნეთ, ვისი სახელიც კროსვორდის ჩარჩოში ფიგურირებს.***

**თარაზულად:** 5. ძველ (თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ) საზოგადოებაში თავის დაკვრა, მარჯვენა მუხლის ოდნავ ჩაკეცვით; 7. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 8. ძველეგვიპტური ღვთაება, რომელსაც თავიდან მზის ღმერთად მიიჩნევდნენ; 13. ტროას ომის მონაწილე, ბერძენი გმირი; 15. პარიზის ციხე-სიმაგრე; 16. ჯარი, ლაშქარი; 17. აზიის სახელმწიფო; 24. ჯილდო კონკურსში გამარჯვებულისათვის; 25. ძველებური საფულე; 26. იაპონიის ფულის ერთეული; 27. ფრანგული ჯიშის, მოკლებეწვიანი ოთახის ძაღლი; 28. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი.

**შვეულად:** 1. ფრანგული არქიტექტურის ცნობილი ძეგლი პარიზში; 2. განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 3. საგანგებო დავალება; 4. უძველესი სახელმწიფო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე; 6. ტროას ომში ბერძენთა წინამძღოლის, აგამემნონის ვაჟი, არგოსული თქმულების გმირი; 9. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 10. გრძელი და მოქნილი ოთხწახნაგოვანი პირის მქონე ფრანგული დაშნა; 11. ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომლის სახელი ერთ საფეხბურთო კლუბს ჰქვია; 12. ბერძენი პოეტის, თეოკრიტე სირაკუსელის ლექსთა კრებული; 14. მშვიდი, უზრუნველი, მწყემსური ცხოვრების ამსახველი ლიტერატურული ქმნილება; 18. ტროას ომის უპირველესი გმირი; 19. სამეფო კარის დიდებული ძველ ევროპაში; 20. პატარა საცხვირსახოცე (ფრანგული) ჩანთა; 21. ბერძნული მითოლოგიის ცხენკაცა; 22. უსიტყვო როლების შემსრულებელი;

### გასული ნომრის პასუხები

(თავსატეხი): 1. ამბავი; 2. ესაია; 3. ტრიგორინი; 4. მაკალათია; 5. მარსი; 6. ჰოლმსი; 7. კომისარი კომერცია; 8. სარაგოსა; 9. თარგი; 10. ამიაკი; 11. გრაფა; 12. სამარა; 13. არმია; 14. ურუგვაი; 15. რიქშა; 16. ოფიცერი; 17. დისპუტი; 8. მიკროფონი; 19. რელსი; 20. სილიციუმი; 21. იარდი; 22. ბლიცი; 23. ოპერა; 24. პიტიახში; 25. ამპლიტუდა; 26. ბახტრიონი; 30. ჯინსი; 31. შიდსი; 37. სტენდი; 33. ალქიმია; 34. აკაკი; 35. კაპასი; 36. ქარვა; 37. კანტი; 38. ახმეტა; 39. ტესტი; 40. ამპერი; 41. ინდივიდი; 42. სტატისტი.

## ფოკუსი

ეს ეშმაკობა ბანქოს ("კარტის") 16 ქაღალდით ძველ თაობებს ეხსომებათ, ახლებს კი ახლავე მოვახსენებთ: მაგიდაზე დაალაგეთ 16 ქაღალდი ნახატებით ზემოთ, კვადრატის სახით, ყოველ რიგში ოთხი ქაღალდით. ვინმეს დაამახსოვრებინეთ მისთვის სასურველი ქაღალდი და ათქმევინეთ მხოლოდ ის, თუ რომელ ვერტიკალზე ძევს ეს ჩაფიქრებული ქაღალდი. შემდეგ, დაიმახსოვრებთ რა მინიშნებულ ვერტიკალს, თანამიმდევრულად აკრიბეთ ქაღალდები ზემოდან ქვემოთ რიგების მიყოლებით და ასეთივე თანამიმდევრობით დაალაგეთ ჰორიზონტალური მიმართულებით. (ე.ი.) ის ოთხი ქაღალდი, რომელიც, ვთქვათ, მარჯვნიდან მეორე ვერტიკალზე იყო, ახლა ზემოდან მეორე ჰორიზონტალზე ჩამწკრივდება). ახლა კვლავ ჰკითხეთ ჩამფიქრებელს, თუ რომელ ვერტიკალზეა ის ჩაფიქრებული ქაღალდი და გაიგებთ რა ამას, ამ ახალი ვერტიკალისა და თქვენს მიერ დამახსოვრებული ჰორიზონტალის გადაკვეთაზე "აღმოჩნდება" ის ჩაფიქრებულ-საფოკუსირებული ქაღალდი ("კარტი").

*რჩევა: ფოკუსის ჩატარებამდე წინასწარ ჰკითხეთ თქვენს "რესპოდენტს", იცნობს თუ არა იგი გაზეთ (!) "კროს-ფანტაზიას" (გასაგები მიზეზის გამო) და ამით ბარემ უფასო სოციოლოგიურ გამოკითხვასაც ჩაგვიტარებთ.*

*გმადლობთ!*



## სერია "ფ"

1. ფრანგი კომპოზიტორი, ფრანსუა ანდრე... (1726-1795); 2. "გასაბჭოებული" იტალიური მანქანა; 3. წყალსატევის ძირი, რომელიც გორკის ერთ პიესაშიც აისახა; 4. გასანათებელი საშუალება; 5. მცენარეული სამყარო; 6. ხევსურთა "ევროპული" ხმალი; 7. ნიუტონი, ჯოული, ლენცი, ბოილი თუ მარიოტი... ვინ იყო თოთოეული მათგანი? 8. იგივეა, რაც გარდუვალიც და საბედისწეროც; 9. ქართული კინოფილმი; 10. სპორტული ცრუმოძრაობა; 11. N21-ის უმთავრესი უნარი; 12. მცოხნელი ცხოველების აკუსტიკური თვისება; 13. ვინ აერთიანებს "სალამბოს" და "მადამ ბოვარის"? 14. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, მაიკლი... (1791-1867); 15. რა საერთო თვისება აქვთ გულს და დროშას? 16. მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური საფუძველი; 17. "პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" პერსონაჟი,... დე შატოპერი; 18. სპორტული ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი; 19. თქვენს ხელთ არსებული "გაზეთის" მთავარი სიტყვა; 20. ებრაელთა დღესასწაული; 21. დედამიწის ერთ-ერთი ბინადარი; 22. ლომის "სამეფო" ატრიბუტი; 23. იტალიური ავტომობილი; 24. რომელი არსება შეეწირა ზურიკელას სწავლა-განათლებას? 25. რა ჰქვია არსენა მარაბდელის დას (რომანში)? 26. ტოტალიზატორის სპეციფიური ცნება; 27. საქართველოს ექს-პრემიერ-მინისტრი; 28. სასოფლო-სამეურნეო ნაგებობა; 29. დრამატურგიული ქმნილების სახესხვაობა; 30. მარცვლეული მცენარე; 31. ფეხქვეშ დასაგები რამ; 32. უნივერსალური მალამო... (ხუანის წყლულებისთვისაც კი!)



## სერია "ქ"

1. თავზე მოსახვევი თხელი აბრეშუმის ქსოვილი ძველ თბილისში (იხილე "კრ-ფან" N10-ის კროსგიგანტის N94 სიტყვა); 2. გახელებული ტარიელის საცხოვრებელი; 3. ხილი, რომელსაც რატომღაც ადამიანის გამოშტერების აღსანიშნავად იყენებენ; 4. არსება, რომლის მსგავსადაც "ორი ფეხი აბია" ხოლმე ზოგ გამოუცდელ კაცს; 5. მამაკაცთა უმრავლესობის (სულ სანანებელი) "თანამდებობა"; 6. ორი (ან მეტი) დის ქმრები ერთმანეთთან მიმართებაში; 7. აღმოსავლური "სუპერმარკეტი"; 8. უზბეკეთის პრეზიდენტი; 9. ქართლის რაიონული ცენტრი; 10. მუსლიმანთა მთავარი სალოცავი; 11. ადგილი, სადაც 1346 წელს ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა ინგლის-საფრანგეთის ასწლოვანი ომის მსვლელობისას; 12. პარლამენტართა აუცილებელი რაოდენობა მუშაობის დასაწყებად; 13. ისტორიული ამბების თანამიმდევრული ჩაწერა; 14. პიროვნება, რომელსაც არამხოლოდ ლოთობისათვის ასამართლებენ; 15. ლომისხახიანი, დრაკონისკუდიანი და თხისტანიანი ძველბერძენი ურჩხული; 16. ბაბაჯანასთან დაკავშირებული მთავარი ატრიბუტ(ებ)ი; 17. ის, რის დაგროვებასაც მხოლოდ ერთეულები ახერხებენ; 18. იეზიდების საქორწილო ცეკვა; 19. მედიცინის დარგი; 20. ხელსაქმის სახეობა; 21. ციებ-ცხელების წამალი; 22. დაცინვა-გამასხრების სახეობა; 23. რომელი მწვანილის თავი იხმარება რამერუმეებში ჩასარჭობად (მიც.ბრ); 24. ტროპიკული ხილი; 25. შემოდგომის ქერი (იხილე განმ.ლექსიკონი, გვ. 457); 26. საზეინკლო იარაღი; 27. ციხე-სიმაგრის ორნამენტული ნაწილი (მხ.რიცხ); 28. საქართველოს (ძირითადად თბილისის) ერთ-ერთი მოქალაქე; 29. იგივეა, რაც ნავარდი; 30. ზამთრის სამოსი

მე ("კრ-ფანტ" რედ.) კატეგორიულად ვარ წინააღმდეგი იმისა, რომ "ტოპ-მოდელი", "შოპ-ტური" თუ "ტეტჩერი" ჩვენი გაამერიკელებული ტელედიქტორების ყაიდაზე — "თოფ-მოდელი", "შოფ-თური", "თეთჩერი" — წარმოითქვას ("კრ-ფანტ" N3-ში ჩვენ ამის შესახებ ვისაუბრეთ), მაგრამ ამჯერად ამ სერია "ქ"-ს ასე დასჭირდა და ჩვენც გეკითხებით: 31. თავ-ფეხ-ხელ-ცხვირ-უკანალის გამომყენებელი სპორტული ორთაბრძოლა და 32. ზემოხსენებული ქართველი ტელედიქტორების თეორიულ-პოტენციური კერპი, იგივე პირველი ამერიკელი... (ა.წ. იანვრამდე და, შესაძლოა, შემდგომაც)



მოძებნეთ საჭირო სიტყვები და შეავსეთ სავარჯიშო:

1. კრილოვი პროლოგი ინტრიგა ანალოგი კრიტიკა
2. ბლუყუნი ფლობერი ალიყური გლეხური გრიმასა
3. გრაფიკა კლინიკა გრიფიტი არაფატი პლანეტა
4. პროტონი პროცესი ოკულარი ტრილერი სპინოზა
5. გლახაკი სტატიბა ალაყაფი პლაფონი პროკოფი
6. სვანეთი აგარაკი სკილაჩი ენისელი ებონიტი

(თეორიულად აქ 15.625 ვარიანტია, თუმცა იმ ერთი "პრაქტიკულის" მოძებნა არც ისე ძნელია).





## საკროსვორდო მემუარები

### პროლოგი

ერთხელ, ერთ მყუდრო ატმოსფეროში, ერთი "მთავარი რედაქტორი" ერთი მშვენიერი ქალბატონის კეთილგანწყობის, და არა მარტო კეთილგანწყობის, დამსახურებას ცდილობდა და თავის "ორგანოს" (ბეჭდვითს, რასაკვირველია!) ისეთი შეფრფვინვით ახსენებდა, როგორც ზურიკელა ახსენებს საბრალო მურადას მერისადმი კეთილგანწყობილების გამოსამზეურებლად. მეც იქვე ვიჯექი, რაღაცას ვაფიქრდებოდი და თან იმ "ორგანოს" მეხოტბის ლექსიკას ვუსმენდი. ამგვარი აშიკობა რომ გადასცდა დადგენილ ნორმატიულ აქტს და იმ მშვენიერი მანდილოსნის ამეტყველების რიგი რომ დადგა, მან (მშვენიერმა!) ბრძანა:

— ეგებ მითხრათ, ბატონო "იმანო", რა სიტყვაა ჩაშიფრული თქვენი გაზეთის 26-ე ნომრის კროსვორდში, მე-12 ჰორიზონტალზე?

ეს ჩემი კროსვორდი გახლდათ და, ღმერთმანი, სიამაყით აღვივსე, რადგან იმ მშვენიერის კითხვა ისევე ჟღერდა, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს რობერტ ფიშერისათვის რომ ეკითხა:

— ხომ არ გამახსენებ, ბობ, რა სვლით უპასუხე შენ 1959 წელს, ბოტვინიკთან პარტიაში შავების 26-ე სვლას, ეტლი ჟე-8?

...იმ (მურადასავით) საბრალო მთავარ რედაქტორს კი ისეთი გრმასა გამოესახა სახეზე, თითქოს ამბობდა — შენ მეტი საქმე არ გაქვსო, (მშვენიერო) ქალო?! — და ჩემსკენ რომ გადმოიხედა, მივხვდი: ჩემი ისე შურდა იმ წამს, როგორც ნაავარიებ შაქროს-ზაქროსი (მულტფილმში), რადგან... რადგან მხოლოდ მე მახსოვდა, თუ რა ეწერა 26-ე ნომრის კროსვორდის მე-12 ჰორიზონტალზე!

### ეპილოგი

მე ბოროტად არ გამოვიყენე ჩემი საკროსვორდო ცოდნა და იმ "კროსვორდია-ფოფოდია" ქალბატონს ე.წ. "პერეხვატი" არ გავუკეთე, რადგან... რადგან, ხომ გაგიათ:

"სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაეთმობის;
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანაზდად გიღალატებს..." და ა.შ.

*მინაწერი: აფსუს, რა პოეტები გვყავდა საბაზრო ეკონომიკის დადგომამდე?!*




*ჩვენი პოეტური შესაძლებლობები ერთობ მწირია, მაგრამ მაინც გავბედეთ და ქვემორე შერადები შავთხზით... თავად განსაჯეთ:*

1. პიონერთა ცნობილ ბანაკს
რომ მოაშლით ბოლო "ეკი"-ს,
"კომუნ"-საც რომ მოაცილებთ
იმ ბინადარს ცეკა-ტეკის,
მხოლოდ მაშინ მოვა ჟამი
ამ ნაწილთა ერთად შეკვრის
და მიიღებთ პროფესიას
თუნდაც გრეგორ (გრიშა) პეკის.

2. თქვენ ჯერ უნდა გაიხსენოთ
"ერთად ჟღერის" სხვა სახელი,
მოაშოროთ მერე "სონი",
ვით უშნო და დამძრახველი,
მერე ერთ ტბას მოაცილეთ
" სი" ისე, ვით მაჯას ხელი,
და მიიღეთ ერთი სიტყვა
"იშვიათის" ამსახველი.

3. "მერსის" შემდეგ რომ ითქმის და
არის რაღაც "ბუკის" დარი,
ეს "ბ" უნდა მოუშალოთ
("მერხი" მაინც "მერსი" არი);
მერე უნდა გაიხსენოთ
ჩვენი კოხტა ფულის გვარი
და მიიღოთ მათი შერწყმით
მიკროსკოპის...

4. ძვირფას ლითონს რომ უწოდებთ,
მისთვის ხალხი თავს რომ იკლავს,
თუ წაუშლით თქვენ ამ სიტყვას
პირველ ასოს, გზას რომ გვიკრავს,
და თუ მასთან ნიკოლოზის
მოკლე ფორმას დაწერთ...
თქვენ უმალვე ამოიცნობთ
ამ შარადის "ღრამატიკას".

5. "გონჯის" ნაცვალს თუ მოაცლით
პირველსა და ბოლო მარცვალს,
მერე მწერთა სახელებში
თუ ინებებთ გულის დაცლას
და მოაკლებთ ბოლო ასოს
"კუზნეჩიკის" ქართულ ნაცვალს,
გაიხსენებთ საჭმელს, რაშიც
არ ისურვებთ არცრის გაცვლას.

6. ის "გეპეიდ" გაუცვნიათ
ქართველებს თუ სომეხ-ოსებს,
დღეს კი სხვა რამ დაარქვეს და
უჩვევობით დაგვაოსეს...
ამ "უჩვევის" გვერდით დასვით
ის, რაც ერქვა (ბატონ) ბროწეს
და ეს ხარკიც მოგვიხადეთ
ჩვენ კროსვორდის ბარბაროსებს.

## გასული ნომრის პასუხები

(სერია "რ") 1. რელიქვია; 2. რაზმი; 3. რია-რია; 4. რაველი; 5. როგორ; 6. რიველინო; 7. რედაქცია; 8. რაფსოდია; 9. რაუნდი; 10. რითმა; 11. რომეო; 12. რიტუალი; 13. რეაფეხა; 14. რეზიკოს; 15. რიკოვი; 16. რეპინი; 17. რაფიელ; 18. რიმინი; 19. რეპრესია; 20. რიშარი; 21. რომანოზი; 22. რერიხი; 23. როსტომ; 24. რებეკა; 25. რიბოკი; 26. რკინა; 27. რეგალია; 28. რიბოკი; 29. რეშკო; 30. როვნო; 31. რიუნოსკე; 32. რკინიგზა.

(სერია "ს") 1. საფერავი; 2. სათლი; 3. სტარტი; 4. სამება; 5. სფერო; 6. სვასტიკა; 7. სავალუტო; 8. სალაფავი; 9. სატანა; 10. სეული; 11. სრესი; 12. სტატიბა; 13. სტოპერი; 14. სორენტო; 15. სვიფტი; 16. სოფიკო; 17. საპონი; 18. სოფელი; 19. სტეფანია; 20. სოხუმი; 21. სპარტაკი; 22. სტვირი; 23. სტრიპი; 24. სინაზე; 25. სტატია; 26. სითბო; 27. სილუეტი; 28. სკოლა; 29. სანიო; 30. სკოტი; 31. სიმბიოზი; 32. სიმილაკი.

(სერია "ტ") 1. ტიხონოვი; 2. ტოკიო; 3. ტრიუკი; 4. ტალანი; 5. ტარას; 6. ტიპიკონი; 7. ტიტომირი; 8. ტასმანია; 9. ტიციან; 10. ტოტია; 11. ტალია; 12. ტკიცინა; 13. ტრიფონი; 14. ტიპიური; 15. ტვიფრი; 16. ტიტანი; 17. ტაფობი; 18. ტალინი; 19. ტალავერი; 20. ტვისტი; 21. ტრაქტირი; 22. ტალონი; 23. ტრაური; 24. ტანძია; 25. ტრიერა; 26. ტრუდი; 27. ტანსარო; 28. ტაქტი; 29. ტვერი; 30. ტაშტი; 31. ტრადიცია; 32. ტრაქტორი.

(სერია "უ") 1. უმიზნობა; 2. ჟიდეო; 3. უსაგნო; 4. ურმული: 5. ულისე; 6. უსინათლო; 7. უმცირესი; 8. ურთულესი; 9. ულრანი; 10. უზნეო; 11. უსენი; 12. უნგრელი; 13. უანგარო; 14. უნამუსო; 15. უბინაო; 16. უნდილი; 17. უშგული; 18. ულუმბო; 19. უსტინოვი; 20. ურდული; 21. უსასრულო; 22. უსტარი; 23. უსქესო; 24. ულირსი; 25. ულვაში; 26. უბირი; 27. ულრუბლო; 28. ულევი; 29. უნაბი; 30. ულტრა; 31. უვარგისი; 32. უშურველი.

# 176 სიტყვა გ ი გ ა ნ ტ ი



## თარაზულად:

1. ეს კითხვა მესამე გვერდის სერია "ქ"-ის მე-15 ნომერში უკვე მოგახსენეთ; 7. ბანანისებრთა ოჯახის მცენარე; 11. იგივეა, რაც აჯანყება; 16. ქვეყნის ნაწილი; 23. თანამედროვე ფრანგი კომპოზიტორი; 24. მღვდლის სამოსელის ნაწილი; 26. ნასათუთარი ანუ... 28. შინაური ცხოველის ნაშიერი; 29. შვედი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, სვანტე ავგუსტ... (1859-1927); 31. როგორი "მიმართებაა" დღევანდელი საზოგადოების "მეშნევიკურ და ბოლშევიკურ" ნაწილებში (ფინანსურ ასპექტში)? 33. ავთანდილის მიერ გადარჩენილი ვაჭარი; 34. ორი რასის წარმომადგენლის ნაჯვარი; 35. მე-20 ს. დას. რუსი მწერალი; 37. (ბატონი) ბროსე; 38. წარსული ეპოქების "მერსედესი" (უბენცოდ); 40. გრამტიკული ტესტი: მე-3 პირი, მრ. რ. ნაცვალსახელი; 41. ჩრდ. კავკასიის მრავალჯერსახელნაცვალი ქალაქი; 43. იქტიოლოგიური ტესტი: ზღვის, პლანქტონური კიბორჩხალების სარეწაო სახელი (თავისით ჩაიწერება); 44. იგივეა, რაც გარემო; 46. მითოლოგიური ტესტი: ბუტესისა და აფროდიტეს ვაჟი (სხვა ვარიანტით ამფიტრიტესა და პოსეიდონის ვაჟი); 47. ორთაბრძოლა, რომელიც ხელთათმანის სროლით იწყებოდა; 49. ჩვენი ახალგაზრდობის ინდური ფილმი ბიჭისსახელიანი გოგონას შესახებ; 51. XV-XIX სს. სკანდინავიის ქვეყნების სამეფო დინასტიის თითოეული წარმომადგენელი; 53. იგივეა, რაც უკუსვლა ან გაჩანაგება; 55. ჰოტ-დოგის აუცილებელი ატრიბუტი; 56. მოსკოვის ტელეანძა; 61. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი; 62. რომელი პერიოდის პარკის შესახებ გადაიღო ფილმი სტივენ სპილბერგმა; 63. წარსული ეპოქების ცხენიანი "მარშრუტკა"; 65. ძველი ჩინეთის სამეფო; 66. თბილისის "დინამოს" რუსი მწვრთნელი 60-იან წლებში; 68. მენდელეევის სისტემის რიგით მე-18 ელემენტი; 69. ახლის აღმნიშვნელი ინგლისური ტოპონიმური წინსართი; 70. ფრანგრ მწერლის რაიმონ ჟერარ პეიელის ფსევდონიმი (1899-1971); 71. გრამატიკული ტესტი: მე-3 პ. მხ.რ. მოთხ. ბრ. ნაცვალსახელი; 72. 60-იანი წლების გაიტალიელებული არგენტინელი ფეხბურთელი; 73. სააღდგომო ხე; 75. (ბატონი) გე, ბალზაკის მოთხრობის პერსონაჟი; 77. "მორტალეს" ფუნქციონალური ნაწილი; 79. "ვარდი გააპის, გამოჩნდის (სად?) ბროლი გამომჭვირვალი"; 80. როგორც ამბობენ, ეს პიროვნება ემელიანე პუგაჩოვის თანამებრძოლი იყო (ჩვენც რუსული კროსვორდებიდან გავიცანით); 82. ინგლისელი ფიზიკოსი, პოლ ეიდრიან მორის (1902-1984); 85. იაპონიის ქალაქი და პრეფექტურა; 86. თბილისის სტომატოლოგიური ფირმა; 88. განცხადების სახეობა; 89. ამერიკელი "უფროსი"; 92. რუსი კომუნისტიც, კავალერისტიც, ულვაშისტიც და ა.შ. 94. სიბრტყეზე გამოსახული ქანდაკება; 96. ანეკდოტური ტესტი: ერთი დამნაშავე ოსი სასამართლოს წინაშე წარდგა. მოსამართლემ ჰკითხა: "ვალიევო, შენ მოკალი მეზობელიო?" ვალიევმა უპასუხა: "მე მოვკალი, მაგრამ ატკაზ"... მაშ, რა უთქვამს ვალიევს? 97. იაპონიის უძველესი დედაქალაქი; 98. ზამთრისპირა საქართველოს ყველაზე სასოწარკვეთილი და მსასოებელი სამეურნეო დარგი; 102. სანიმუშოობის საზომი; 105. როგორი ძაღლია კიტა ბუაჩიძის ერთ პიესაში; 106. თავის მოსაკვეთი ფრანგული დანადგარი; 107. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი; 108. გერმანელი მამაკაცების სახელი; 109. ის, რაც ვერაფერს უნდა გაეჩერებინა (ძველი ტელერეკლამა); 110. "კოჭას" უფრო გავრცელებული რუსული ბარბარიზმი; 111. ფიზიკურად ძლიერი პიროვნება; 112. ლიტ.ძეგლების კრებული სახელმძღვანელო; 114. გრამატიკული ტესტი: ვე ნაწილაკიანი პირის ნაცვალსახელი, სახ. ბრუნვის გარდა; 115. პოეტური ტესტი: "ელენე დარიანის" დღიურის ავტორი; 117. პიროვნება, რომლის დანახვა თვეში ორჯერ ძალიან გვიხაროდა ხოლმე; 118. სამნაწილიანი ხატი; 122. (ბატონი) საკი, იტალიელი მწვრთნელი; 124. გეომეტრიულ-საცირკო ფიგურა; 126. იგივეა, რაც მსხვერპლი; 128. რა აქვთ საერთო ლენგსა და გაიდარს; 131. ზევსის ფარი, რაც მფარველობის მეტაფორად იქცა; 132. 24-საათიანი ტელესაქველმოქმედო გადაცემა; 133. თანაჟღერადობა: 134. ძველბერძენი მოქანდაკე; 137. კაბადოკიელი ქალი, ქართველთა წმინდანად შერაცხული; 138. ფრინველთა წამახალისებელი შეძახილი; 141. გრამატიკული კავშირი; 142. ბაირონის საგვარეულო ტიტული; 145. სამხ. ამერიკის უძველესი ტომი; 146. ორგანიზმის რეაქცია გამაღიზიანებლების მიმართ; 147. სასაპალნე ცხოველების უკანა იარაღი; 148. პლანეტა, რომელსაც მიმართა ავთანდილმა "მოდი (რომელო?), მარგერა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა". 151. ის, რაც ბოლოს კვდება; 152. ილია ჭავჭავაძის საეკლესიო ტიტული; 153. ენით დაკოდილი არსება; 154. მემორიალური ქანდაკება; 155. (მადამ) მატიე; 156. (ბატონი) მღვიმელი; 157. დასასვენებელი ადგილი.

## შვეულად:

1. ერთუჯრედიანი მწვანე წყალმცენარე; 2. უძველესი ებრაული ქალაქი; 3. ნადირი, რომელსაც სახარებას უკითხავენ; 4. ეს გვარი ჩვენი "მჭედლიშვილივითაა" მოდებული მთელ ესპანურენოვან ქვეყნებში; 5. ეს გვარი კი ასეთივე წარმატებით მოქმედებს ინგლისურენოვან ქვეყნებში; 6. აი, ეს გვარი კი (თავისი საკროსვორდო-დრამატურგიული იერის გამო) ბარე ასჯერ მაინც მოვისესხეთ ფრანგულენოვანი სინამდვილიდან; 8. გაზაფხულის ხილი; 9. ერთ-ერთი ელექტროდი; 10. რა აქვთ საერთო სულხან-საბას და კრილოვს (ლაფონტენსაც); 12. გლდანიც, ვარკეთილიც, დიდი დიღომიც (პატარაც); 13. საკუთარი სახელების შემსწავლელი მეცნიერება; 14. ვისი შვილი იყო ნალბანდობაში ჩაჭრილი მგელი? (სახ.ბრ); 15. სოფელი ოჩამჩირის რ-ნში; 16. "ბარისოვნა"; 17. "ბოინი" ქართულად; 18. რუსეთის ჯარის სარდალი ამიერკავკასიაში; 19. სასამართლოს განაჩენი, რომელიც მსჯავრდებულს სასჯელისაგან ათავისუფლებს; 20. ხვიარა ტროპიკული მცენარე (მხ. რიცხ.); 21. "ღირსი ხარ!" სხვაგვარად; 22. ძველი ბაბილონის მთავარი ნაგებობა; 25 (ბატონი) სმოკტუნოვსკი; 27. ციმბირის მდინარე; 30. ფრაზის გამომსახველობის გაძლიერების მიზნით სიტყვათა ჩვეულებრივი წყობის შეცვლა; 32. მწყობრიდან გამოსვლა; 36. ადგილი; 39. განხეთქილების ღმერთქალი ძვ.ბერძნულ მითოლოგიაში; 42. შვეიცარიის ქალაქი; 44. უაზრობა; 45. ქართლის "კრიმინალური" სოფელი (ნახევრადხუმრობით); 48. შვეიცარიელი ფერმწერი და გრაფიკოსი (ენციკლოპედიიდან); 49. ტვირთი; 50. საქ. რაიცენტრი; 52. ქალაქი მიაძაკის პრეფექტურაში, იაპონია; 53. ზუთხის ლორად გამოყვანილი გვერდი; 54. თანამედროვე რუსი ფეხბურთელი; 56. წრის "დეფორმაცია"; 57. მე-18 ს. ლიტ. მიმდინარეობა; 58. სიმონიანიც, მიხალკოვიც, ხრუშჩოვიც... 59. ჭადრაკის ქალღმერთი; 60. მესამე, ყველაზე ჭკვიანი გოჭი; 64. ქართველი "ბემბი"; 67. ქიმ.რეაქციის შემანელებელი ან აღმკვეთი ნივთიერება; 71. ფილიპინების დედაქალაქი; 73. (სენიორ) მუსოლინი; 74. "მაცნეს" დასკვნითი სიუჟეტი; 76. ქართველ მთიელთა ღვთაება; 78. "პირველი მფრინავის" მამა; 81. ყოფილი სოც. სახელმწიფო; 83. საშუალო სიმაღლის, მაგარმერქნიანი ხე; 84. თანამედროვე რუსი მწერალი-იუმორისტი; 87. "რქაგრეხილი" ქალაქი უკრაინაში; 89. საკონდიტრო ნაწარმი, რომელიც კუნთების სიმრავლის სიმბოლოდ იქცა (რატომღაც); 90. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 91. ქართველი კომპოზიტორი, იონა... 93. ქალაქი ჩრდ. დას ირანში (რუსებს ეუხერხულებათ მისი აღნიშვნა რუქაზე); 94. ბერძნული ანბანის ასო; 95. ქართული სანაყავი საშუალება; 97. უძველესი სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში; 98. (ასევე) უძველესი სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში; 99. სარკინიგზო მანქანა; 100. ნაქსოვი მხატვრული ქმნილება; 101. პატარა ფრინველი (ზოგადად); 103. ხელოსან-ხელოვანთა სამუშაო სივრცე; 104. ომგადახდილი; 109. ესპანელი მხატვარი, სალვადორი... 112. (მხოლოდ) რაჭული წინსართი; 113. (ბატონი) ფოცხიშვილი; 116. ტკბილმომჟავო ნაყოფიანი ბუჩქი; 1.19. ლიპარიტ ორბელიანის ძე; 120. ევროპის სახელმწიფო; 121. გრ.ორბელიანის ლექსის ადრესატი, შანშიაშვილი; 123. გერმანია-პოლონეთის საერთო მდინარე; 125. წყლის "გრანულირებული" ვარიანტი; 127. ტერიტ. ადმ. ერთეული; 129. უენო; 130. არარეგისტრირებული; 134. კინო-ტელე-ვიდეო ქმნილება; 135. წუხილი; 136. ავეჯის ატრიბუტი; 137. ბაღჩეული კულტურა; 139. რამ გააბრუა ჭრელი პეპელა? (მოთხ.ბრ); 140. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი; 141. გრამატიკული ტესტი: დროის ზმნიზედა, სიჩქარესთან დაკავშირებით; 143. 1958 წ. მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიელი ფეხბურთელი; 144. გორის საფეხბურთო კლუბი; 145. "სტუმარ-მასპინძლის" პერსონაჟი; 147. უვიცი და გამოუსვლელი გლეხი; 149. საეკლესიო დღესასწაული; 150. კახურად "ხვალზეით", ჩვეულებრივად ?

### ლოგიკური პარადოქსები

მეგობარი შეხვდა მეგობარს, რომელსაც "ლოგიკის" სახელმძღვანელო ედო ჯიბეში.

— რა არის ლოგიკა? — ჰკითხა მეგობარმა.

— სახლში აკვარიუმი გაქვს? — კითხვავე შეაგება მეგობარს.

— მაქვს! — უპასუხა მეგობარმა.

— რადგან აკვარიუმი გაქვს, თევზებიც გეყოლება, რადგან თევზები გყავს, სილამაზე გყვარებია, რადგან სილამაზე გიყვარს, ქალებსაც სწყალობ, რადგან ქალებს სწყალობ, "ცისფერი" არ ყოფილხარ... აი, ეს არის ლოგიკა!

გაიხარა მეგობარმა, რომ "ლოგიკის" არსი შეიცნო და წავიდა თავის გზაზე. შემოხვდა სხვა მეგობარი, რომელსაც სალმისთანავე ჰკითხა:

— აკვარიუმი გაქვს?

— არა!

— წადი, შე "ცისფერო", შენაო! — და განაგრძო გზა.

***

სკოლის დირექტორმა ეზოში ბავშვი დაიჭირა და ჰკითხა:

— რათა ხარ, ბიჭო, გარეთო?!

— მასწავლებელმა გამომაგდო "ჰაერის გაფუჭებისთვის" — უპასუხა ბავშვმა.

— რომელმა მასწავლებელმა გამოგაგდო?

— ლოგიკისამ!

— მაშ, ეს ლოგიკაა, რომ ეს სუფთა ჰაერზე გამოუშვა, თვითონ კიდე გაფუჭებულში დარჩა?! — გაიოცა დირექტორმა...

## ც ი ფ რ ო გ რ ა მ ა




011
012
105
127
128
406
407
707

1232
1281
1285
1645
1646
1726
1746
6646

09901
09990
70901
78901
79901
79981

1789332
2334562
3364562
4061996
6123457
7653214
7653412

001126
067770
067777
080792
121219
237450
252296
252993
267870
292992
568778
634450
654321
712345
806034
912124

### გასული ნომრის პასუხები

1. ფიასკო ფრანკფურტი; 2. იოსელიანი; 3. აქატი; 4. სინოპტიკოსი; 5. ობი; 6. კომუნისტი კროსვორდი; 7. ოთახი; 8. ნეილონი; 9. ინგირი; 10. ტროა; 11. იასი; 12. გალვანომეტრი; 13. აზოტი; 14. ვილია; 15. ნაბიჯი; 16. ომი; 17. მაასტრიხტი; 18. ერნი; 19. ტვიდი; 20. იონიზაცია; 21. როქი; 22. ბურთი; 23. რასიზმი; 24. სინიორი; 25. ამარეტო; 26. ასანთი; 27. ტიგროსი ტიტანიკი; 28. ლობიანი; 29. ნეტო; 30. მსხვილი მაგია; 31. ვასო; 32. აინშტაინი; 33. ანგინა; 34. სიდრი; 35. კლიპი; 36. ავიატორი; 37. იმერელი; 38. ირინა; 39. ტანგო; 40. ნარინი; 41. სანიმუშო; 42. კიტრი კასაცია; 43. ტოსკა; 44. უაზი; 45. აირტონი; 46. ტასო; 47. რანინა; 48. ნუდიზმი; 49. რეზიდენცია; 50. კარადა; 51. ურალი უძო; 52. ლოტკინი; 53. სასხლეტი; 54. ტიპო; 55. პფაიფერი; 56. ისაკაძე; 57. აზრი; 58. ადანა არისტო; 59. ზმა; 60. ფსონი; 61. ოკულარი; 62. ინგლისი; 63. იზოლატორი; 64. ანფასი; 65. ცვაიგი; 66. გალექსვა; 67. რაიკინი; 68. ბოინგი; 69. ინკვიზიცია; 70. ცნობა; 71. ადლი; 72. ბოი ბრაკონიერი; 73. იონია იგი; 74. ნატო; 75. აგრონომია; 76. სმენა; 77. ვალე ვირთხა; 78. ამაოება; 79. ფილოლოგია; 80. იბერვიზია; 81. ფრანტი; 82. რელიგია; 83. სიმენსი სტარლინგი; 84. იაპონია; 85. ალება; 86. ინტერესი; 87. ეგოიზმი; 88. აბსტრაქცია; 89. კარერასი; 90. ადესა; 91. იუკატანი; 92. გოგოლი; 93. ჯანო; 94. ატელიე; 95. ათოსი; 96. ირიდიუმი: 97. ონი; 98. პაატა პანი; 99. ადეპტი; 100. რხევა; 101. მორალი; 102. რიო გრანდე რია-რია; 103. ყულაბა; 104. საფარა; 105. იორი; 106. როდია; 107. სკაუტიზმი; 108. ულტრა; 109. ნოელი; 110. იარდი; 111. ბაი ბლიცი; 112. ეროზია; 113. იოდი; 114. ამიაკი; 115. კეხი; 116. პიანინო; 117. იოგა; 118. ორდე; 119. ალფა; 120. რადიო; 121. მატერია; 122. სტერეოგრაფია; 123. აინ; 124. ილიადა; 125. სხუპი; 126. გიდი; 127. ცრუ; 128. ინდიანაპოლისი; 129. ძიძა; 130. უნცია.

ი/ს — „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, N7/1-1811
მთ. რედაქტორი — ვახტანგ ელერდაშვილი